29 აპრილი, (11 მაისი) 1866. № 9. პირველი წელიწადი.

გაზეთის ფასი:

	Ტფილისში და გარეშე ადგილებში:	Გაუგზავნელათ:
ერთის წლისა	— 7 მან.	— — — 6 მან.
10-ის თვისა	— 6 —	— — — 5 —
ნახევრის წლისა	— 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა	— 2 — 50 კ.	— — — 2 —

Ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„**დროება**“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

Ტფილისში „**დროების**“ რედაქციის კანტორაში, ველოვანი-ლის და კამპ. სტამბაში, ბალავინის პროსპექტზედ, ქ. ზუბალოვის სახლში. —

Ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **განცხადება** სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

რედაქციისაგან.

ხელის-მოწერა „**დროებაზედ**“ ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება **პირველისავე ნუმრიდამ.**

ამ ნუმერში არის: **რუსეთი:** 4 აპრილის შემთხვევაზედ.—**პოლიტიკა:** **ამერიკა.**—**მოკლე** განხილვა მმართველობის სხვა და სხვა ფორმისა. **ფელეტონი:** **რამდენიმე ალაგი** მოთხრობიდგან „**მართა**“ — **სახაზინო** და **კერძობნთი** განცხადებანი. — **ბიბლიოგრაფიული** ცნობა.—**დამატებაში:** ტელეგრამმები.

რუსეთი.

ბაზეთში „С.-Петербургскія Вѣдомости“ არის დაწერილებითი ამბავი იმაზედ, 4 აპრილს რომ შემთხვევა მოხდა. 4 აპრილს, მაშინ როდესაც მისმ. იმპერატორებითმა უდიდებულესობამ ინება საზაფხულო ბაღში სეირნობა, ხალხი იმის ეკიპაჟთან მოგროვდა და ბაღიდამ ხელმწიფის გამობძანებას უცდიდა. ამ ხალხში ერია ერთი ყმაწვილი კაცი, რომელსაც ბედათ ხვდა ხელმწიფის სიკვდილისგან დაფარვა. ის იყო **Иосебъ Ивановичъ** ძე **Каракозовъ**, ქასტროვის გუბერნიის, ბუისკის უეზდის, სოფლის **Молотовкинის** მცხოვრები. 4 აპრილს იყო იმის დ ბადების დღე და ამის გამო წავიდა კუნძულს, პეტერბურგის მხარეს, პატარა სასახლის მახლობლივ სალოცავში თაყვანის საცემათ და სალოცავათ; ჩამოვიდა თუ არა მარმარილოს სასახლის პირდაპირ ნევის პირს, იმან ნახა, რომ ხიდი მოშლილი იყო და ნევაზედ გასელა არ შეეძლო, მაშინ ის ისევ უკან გამობრუნდა და, როგორც საზაფხულო ბაღთან მოვიდა შეხედა, რომ შესავალ კართან ეკიპაჟი იდგა და გარს ხალხი ეხვია, **Каракозовმა** იცნო რომ კალასკა ხელმწიფისა იყო და რადგან ძლიერ სურდა ხელმწიფე თვალით ენახა, ამისთვის ხალხში შეერია და ელოდა სხვებსავით ისიც ხელმწიფის ბაღიდამ გამოსვლასა; ამ დროს ხალხი შეიძრა და იმან ხელმწიფე სერთუკში დაინახა. ქალასკასთან რომ მივიდა, ხელმწიფემ შინლის ჩაცმა დაიწყო; ამ დროს ლურჯ პალტოში ერთი ახალ გაზდა კაცი ძალით აწვებოდა ხალხს და იწევდა, წინ წამდგარი იყო. ეს კაცი ჯერ წინეთაც ცდილობდა წინ წადგომასა, მაგრამ რადგანაც თვითონ **Коммисаровსაც** სურდა ხელმწიფე ახლოს ენახა, ამისთვის ის ამ ახალ გაზდა კაცს წინ არ უშვებდა. ამ დროსაც დამნაშავე უფრო ძლიერ დატანებით მიაწვა **Коммисаровსა** და ბოლოს მაინც წინ წადგა. როგორც კი ეს ყმაწვილი კაცი მოხვდა ხელმწიფის მახლობლივ, რომელიც ამ დროს შინელს იცვამდა, ისე **Коммисаровმაც** შენიშნა, რომ იმან პალტოდამ დამბაჩა გამოიღო და ხელმწიფეს უმიზნებდა; იმას **Коммисаровმა** უეცრათ აკრა ხელი იდაყვ ქვეშ. ჩახმახი დაცა, მაგრამ ღვთის მადლით ტყვიამ ხელმწიფეს თავს გადურბინა. დამნაშავემ იმავ წამს დაკრა ფეხი გასაქცევათ, მაგრამ იმას უკან ერთი გლეხი გამოუდგა, რომელიც იმას თუთხმეტს საჟენზედ მოეწია. ხელმწიფე სრულიად არ აჩქარებულა და როდესაც ხალხი მივარდა დამნაშავეს ფეხ ქვეშ ჩ სადებათ, ხელმწიფემ ისინი შეაჩერა. როგორც ამბობენ, ხელმწიფემ ყველაზედ პირველათ კითხა დამნაშავეს: „შენ რუსი ხარ?“ ამაზედ ყმაწვილმა კაცმა მიუგო, რომ მე პირდაპირ შენ გესროლევო და შემდეგ ხალხს მიუბრუნდა და დაიძახა: „თქვენის გულისთვის.“ ხალხი ხელ-მეორედ ეცემას, მაგრამ ხელმწიფემ ისევ ნება არ მისცა იმათ და უბრძანა მახლობლივ რომ პოლიციის სალდათები იყვნენ, დამნაშავე წაეყვანათ; თვითონ კი **Казанის** სობოროში გასწია ღვთის მშობლის წინაშე მადლობის შესაწირავათ საწაულით სიკვდილისგან გამოხსნისათვის. როდესაც უკან დაბრუნდა ხელმწიფეს სასახლესთან დიდი ხალხის გროვა მიეგება ხმა მაღლა და ძახებით „ურა.“ თვით სასახლეში **Лейхტენბერგის** ღერცოგი და **Баденის** **Принცესსა** წავიდნენ ოთახებში, სადაც სახელმწიფო რჩევა იყო შეკრებილი, რომ შეეტყობინებინათ რჩევის თავ-მჯდომარე **Дიდის** **მთავრის** **Коსტანტინე** **Николოზის** ძისთვის ეს ამბავი. ის იყო რომ რჩევა გათავებულიყო. **Дიდმა** **მთავარმა** **Коსტანტინემ** ხელმწიფესთან გამოსწია, რჩევის წევრები და **კანცელარიის** წესი, რომელიც წინათ სობოროში იყვნენ, წამოვიდნენ საზამთრო სასახლის ეკლესიაში, **Უფლის** **ღვთის** **წინაშე** **რომ** **სამადლობელი** **პარაკლისი** **გადაეხადათ**, **და** **მერმ** **რომ** **ხელმწიფეს** **მიგებებოდნენ** **მხურვალე** **ერთგულ-ქვეშევრდომითის** **გრძნობის** **გამოსაცხადებლათ.** **ზალა** **მალე** **გაივსო** **მაღალის** **სახელმწიფო** **მოხელეებითა**, **კარის** **კაცებითა**, **გვარდიის** **პოლკის** **აფიცრებითა** **და** **სხვ.** **ამ** **ჟამად** **სასახლეში** **შესელის** **ნება** **ყველას** **ქონდა** **და** **ზალა** **ისე** **გაივსო** **კაცებით**, **რომ** **ამისთანა** **ყრილობა** **იქ** **სხვა** **დროს** **რომ** **ყოფილიყოს**, **არ** **ახსოვთ.** **როდესაც** **მათი** **Удიდებულესობანი** **გამოვიდნენ**, **ერთის** **ხმით** **ხალხმ.** „**ურა**“ **შესძახა.** **ბევრს** **თვალებზედ** **ცრემლიც** **გადმოდიოდა** **სიხარულის** **გამო.** **ისე** **დიდ**

რამდენიმე ალაგი მოთხრობიდგან „მართა“.

(**შემდეგი**).

რაკი **მამა** **ცოცხალი** **აღარა** **ჰყვანდათ** **და** **ხელის** **შემწეობი** **აღარავინ** **ეგულებოდათ**, **რასაკვირველია**, **მეტი** **ღონე** **აღარ** **იყო**, **უნდა** **შესდგომოდნენ** **როგორმე** **ცხოვრების** **თავ-დარიგსა.** **რაღა** **თქმა** **უნდა**, **რომ** **გლეხებზედ** **ბარგს** **თავის** **საცხოვრებლათ** **ესენი** **ვერას** **მოიგონებდნენ** **და** **გახდნენ** **ამათ** **სარჩენათ**, **მაგრამ** **იაფათ** **კი** **არ** **უჯდებოდათ** **ამათ** **გლეხ-კაცების** **სამსახური.** **ბლეხ-კაცები** **არას** **უგონებდნენ....** **აქ** **ეს** **მებატონეები** **დაიწყებდნენ** **დიდს** **ფართაფურთსა**: „**აჰაი**, **ეხლავე** **ჩავალთ** **სასამართლოში**, **მოვიყვანთ** **ზეკუციასა** **და** **სულ** **დაგანიავებთ!** **ჰაი**, **სულ** **Симбირში** **დაგაკარგვინებთ** **მართებელსა!...**“ **და** **ყოველივე** **ეს** **მუქარა** **და** **ბაქი-ბუქი** **იმითი** **კი** **თავდებოდა**, **რომ** **დამნაშავე** **გლეხები**, **რომელთაც** **ზედ** **დაამტვრიეს** **თავი** **და** **პირი** **მებატონეებსა**, **მოართმევდნენ** **ამათ** **ძღვენსასხვა** **და** **სხვა** **დარბაისელის** **სოფლის** **კაცის** **ხელითა**, **მოსცემდნენ**, **რაც** **შესაძლებელი** **იყო**, **სამსახურსა** **და** **შერიგდებოდნენ.** **ბევრჯელ** **ისე** **გაცხარდებოდნენ** **ხოლმე** **ეს** **უბედური** **მებატონეები**, **რომ** **აღარც** **ძღვენს** **და** **აღარც** **ვისმეს** **თხოვნას** **შეიწყნარებდნენ** **და** **გაჯავრებული** **მიდიოდნენ** **ან** **დივანბეგთან**, **ან** **ნაჩალნიკთან** **ყმებზედ** **საჩივლელათ.** **მაგრამ** **აქ** **საჩივარში** **კიდევ** **უფრო** **საცოდავები** **იყვნენ**: **მივიდოდნენ** **და** **აიტუზებოდნენ** **უპრავლენიის** **კარებთანა**, **მინამ** **ერთი** **ღვთის** **ნიერი** **ადამიანი** — **მწერალი**, **ან** **იასაული** **ვინმე** **არ** **აუჩნდებოდა** **და** **ჰკითხავდა**, **რისთვის** **მოსულან.** **ბოლოს** **რითაც** **იქნებოდა** **დიდის** **დავი-დარაბით** **ძლივს** **მიაღწევდნენ** **ისინი** **ან** **დივანბეგამდინ**, **ან** **ნაჩალნიკამდინ**, **რომელნიც** **აძლევდნენ** **იასაულებზედ** **ბრძანებასა**, **რომ** **დაეჭირათ** **დამნაშავე** **გლეხები**; **მაგრამ** **იმათ** **კვალსაც** **კი** **ვერ** **იპოვნიდნენ** **ხოლმე**, **თუმცა** **ეს** **გლეხები** **სულ** **შინ** **იყვნენ**, **მუშაობდნენ** **და** **სოფელს** **იქით**, **მინამ** **დამჭერლები** **არ** **მოვიდოდნენ**, **არ** **სად** **არ** **მიდიოდნენ.** **საკვირველი** **იყო**, **როცა** **ფარემუზის** **კაცები** **დააშავებდნენ** **რასმე**, **დივანბეგისა** **ან** **ნაჩალნიკის** **მოხელეები** **მაშინვე** **პოულობდნენ**, **სადაც** **უნდა** **დამალოდნენ**, **და** **ამათ** **კაცებს** **კი** **ვერას** **დროს** **ვერ** **იპოვიდნენ** **ხოლმე**, **თუნდა** **იქვე** **საქათმეში** **სადმე** **ყოფილიყვნენ** **დამალულნი.** **ამაში** **გადიოდა** **ხანი**, **მებატონეებსაც** **გადაუვარდებოდათ** **წყენა** **ცოტა** **ცოტათი** **გულიდამა** **და** **ბოლოს** **კიდევ** **საქმე** **ძღვნით** **და** **შერიგებით** **თავდებოდა.**

ბევრის — **შვილობითაც**, **რა** **საკვირველია**, **ძალიან** **თავი** **მოქონდათ** **ამათა** **და** **თავს** **არ** **უყადრიდნენ** **სხვა** **მეზობელს** **მებატონეებს**, **რომელნიც** **ამათს** **ჭკუაში** **გვარის** — **შვილობით** **იმათზედ** **ნაკლებნი** **იყვნენ.** **მეტადრე** **ამათი** **საქმელი** **და** **საკვეხური** **იყო** **ვიღაცა** **ამათი** **მამა** — **პაპა**, **რომელიც** **ყოფილა** **რაღაცა** **დიდი** **მოხელე** **რომელღასაც** **ქართველთ** **მეფესთანა.** „**მამა** **ჩემი** **არ** **წამიწყდება!**—**იტყოდნენ** **ხოლმე** **ხშირათა**:—**პაპა** **ჩვენი** **Иოთამ** **ისე** **ჰყოლია** **მეფე** **Ираკლეს** (**თუმცა** **Ираკლეზედ** **ბევრით** **წინ** **იყო**, **მაგრამ** **ესენი** **ყველა** **ქართველთ** **მეფეს** **Ираკლეს** **ეძახოდნენ**) **მიღებული**, **რომ** **სულ** **ნიადაგ** **გვერდს** **უჯდა** **და** **ხშირათ** **თურმე** **ეტყოდა**: „**შენისთანა** **ერთი** **ოთხი** **ყმა** **კიდევ** **რომ** **მყვანდეს**, **ყველა** **მტერს** **დავიმორჩილებდიო...**“ **ამასთანავე** **დიდათ** **საძრახისათ** **და** **სასაცილოდ** **მიაჩნდათ**, **თუ** **საწყალი** **ვინმე** **მებატონე** **ატარებდა** **ქალამნებსა** **და** **მსხვილი** **შალის** **ჩოხებსა.** **თვითონ** **კი** **ყველაზედ** **უნისათ** **ეცვათ.** **ოღონდ** **კი** **წაღები** **და** **ქოშები** **ჭრქმეოდათ** **და** **ქალამნები** **არ** **ყოფილიყვნენ** **და** **თუნდა** **სანაგვეზედ** **აკრეფილებსა** **ჰგვანებოდნენ**, **არ** **გაიხდიდნენ** **ფეხიდამა.** **რადგანაც** **უფრო** **დარბაისლულია** **და** **დიდკაცობის** **შესაფერია**, **ატარებდნენ** **მაუდის** **კაბებსა**; **მაგრამ** **ვაი** **იმ** **კაბობასა**, **რომ** **ისინი** **კაბები** **იყვნენ!** **ფარატინები** **და** **ნაფლეთები** **დაჰფრიალებდნენ** **ყოველს** **სიოს** **შემობერვაზედა** **და** **რიგიანს** **ქარს** **რომ** **შემოებერნა**, **არამც** **თუ** **დააყრევინებდა** **ამ** **ფარატინებსა**, **და** **სადაც** **კიდევ** **სიმთელე** **ეტყობოდა**, **დომხალივით** **დამდნარს** **მაუდს**, **იმასაც** **სულ** **შემოაფლეთავდა.** **ახალუხს** **ატარებდნენ** **ფარჩისას**; **მაგრამ** **ესენიც** **იქამდინ** **ნაცვეთნი** **იყვნენ**, **რომ** **რაც** **უნდა** **კარგი** **თვალი** **გქონოდა**, **თუ** **წინდაწინ** **არ** **იცოდი**, **ვერ** **გაიგებდი** **ან** **რა** **ფარჩა** **იყო**, **და** **ჩითი** **იყო**, **თუ** **დიმიკიტონი.** **წაღებიდამ** **ხშირათ** **გამოეყოთ** **ყველა** **ფეხის** **თითებს** **თავი**, **თითქო** **ვარსკვლავების** **თვლას** **აპირებენ**, **ან** **უნდა** **ჩუმათ** **გამოძვრნენ** **და** **გეპარნენ** **სადმე** **პატრონსაო.** **ერთის** **სიტყვით**, **ფეხშიშველა** **სიარულს** **ირჩევდნენ** **და** **ქალაქანს** **კი** **არ** **ჩაიცვამდნენ**; **ახალუხის** **სახლებიდამ** **გამოეყოთ** **იდ** **ყვებს** **საცოდავათ** **თავი** **და** **იღლიებში** **ფარღალალით** **შესდიოდათ** **ქარი**; **მაგრამ** **მაინც** **ნუგეშათ** **ესა** **ჰქონდათ**, **რომ** **ფარჩის** **ახალუხი** **ეცვათ** **და** **მაუდის** **კაბა**, **მეტადრე** **ერთს** **იმათგანს** **ეცვა** **ზარბაბის** **ახალუხი**, **რომელიც** **აჩუქა** **იმას** **მამამ** **ამ** **ოცდა** **ათის** **წლის** **წინათ** **ჯვარის** **საწერათ**, **და** **რომელიც** **აგერ** **ხუთი** **წელიწადია**, **სხვა** **ახალუხის** **უქონლობის** **გამო** **გაუხდელათ** **აცვია.** **რაკი** **იქამდინ** **გაცვდებოდა** **კაბა**, **რომ** **აღარც** **დაკერება** **გაეწყობოდა**, **აღარც** **ტანზედღა** **დაადგებოდა**, **ამ** **დღისთვის** **იმათ** **ჰქონდათ** **გრძელი** **ტყავები**, **და** **ზამთარ-ზაფხულ** **არ** **იშორებდნენ** **ტანიდამ**, **ოღონდ** **კი** **მსხვილი** **შალის** **ჩოხა** **არ** **ჩაეცვათ** **ტანზედა.** **ამ** **გრძელს** **უზედატნო** **ტყავში**, **მაღალს** **წოწოლა**, **გალეესილს** **და** **გაჭვარტლულს** **ძველს** **ბუხარის** **ქუდში**, **ქუსლებ** **გამოფლეთილს** **სხვილს** **მატყლის** **წინდებში**, **და** **წელ-ათრეულს** **ქოშებში** **კიდევ** **უფრო** **უცხო** **სანახავნი** **იყვნენ** **ესენი.** **ერთის** **სიტყვით**, **ტიტველა** **დარჩებოდნენ** **და** **იმას** **არ** **ჩაიცვამდნენ**, **რასაც** **იცვამდნენ** **გლეხები.** **მაგრამ** **ამ** **ტანისამოსში**, **თუ** **არ** **კარგა** **შეჩეული** **თვალი**, **ვერ** **გაარჩევდა** **ამათ** **გლეხებშია.**

პოლიტიკა.

ამერიკა.

წარსულს წელიწადში ჩრდილოეთის ამერიკაში იმისთანა ამბები მოხდნენ, რომლებსაც ერთი წლის წინათ თითქმის არავინ არ მოელოდა. თუმცა ბევრი წინასწარმეტყველობდა, ამერიკის შინაური ბრძოლა (*) გაუთავებლად გაგრძელდებაო, თუ ჩრდილოელები არ დათანახმდებიან კავშირის დარღვევაზედ და მისგან სამხრეთის შტატების გასვლაზედ; მაგრამ იმათ არც ერთს თავის მოთხოვნილებაზედ ხელი არ აიღეს და სამხრეთის სწრაფი დამარცხებით მთელი ქვეყანა გააკვირვეს. კავშირი უწინდელს საფუძველზედ აღსდგა, უფრო კი ფრიადის სიმძლავრის გრძნობით, რადგანაც საუკუნოთ დაირღვა მონაობა, სენი შეერთებული შტატებისა. ამ დამარცხების წინათ ლინკოლნი იყო მეორეთ აღმოჩრჩეული პრეზიდენტათ ხმების დიდის უმრავლესობით. ის კიდეეაც ემზადებოდა მოეკრიფა ნაყოფი თავისი გონივრული პოლიტიკისა; ყოველი იმისი აზრი იყო მიქცეული იმაზედ, რომ ჩქარა განეკურნა თავისი ხალხი ყოვლის ომის გამო წამამდგარი სენისაგან; მაგრამ 2 აპრილსა ლინკოლნის ძვირფასი სიცოცხლე მკვლელის ხელით მოიკვეთა. ამერიკის ნაციამ ამ საშინელ შემთხვევაში მთელს ქვეყანას წარმოუდგინა გასაოცარი დამტკიცება თავისი ღრმა პოლიტიკური 'ჭკუისა. ამან სახელმწიფოს თავი დაჭარგა მაშინ, როდესაც ის იყო ომი თავდებოდა და მომტრე მხარეებს იარაღი ხელიდგან ჯერ კიდევ არ გაეშვათ. მაგრამ ის ხალხი თავის ერთხელ მოწადინებულს საქმეს ერთი ნაბიჯითაც არ გაშორდა და თავის შუა ღრმა სიმშვიდის დაცვა მოახერხა. ლინკოლნის ადგილი დაიჭირა კანონისა მებრ ვიცეპრეზიდენტმა ანდრიუ ჯონსონმა, რომელიც ომის წინეთ იყო ერთს მეშფოთარს შტატის სენატრათ. მართალია ამ ბრძოლიდგან შეერთებული შტატები გამოვიდნენ საშინლად შერყეულნი, მაგრამ იმით უფრო სამოძღვრებელი არის ის გასაოცარი მეცადინეობა და ძალის დატანება, რომლებსაც ხმაროობენ, ყველა თავისი საზოგადოებითი წყლულება განკურნონ. პრეზიდენტი ჯონსონი აღმოჩნდა ძალიან ზომიერი პოლიტიკის წარმომადგენელი; პირობები, რომელიც იმან დამარცხებულს შტატებს კავშირში შესასვლელად დაუდო, სრულიადაც დასამძიმებელნი არ იყვნენ. მეჭვი არ იყო, რომ სამხრეთი ამ პირობაებს მიიღებდა, იმით უფრო, რომ იმათ ჩრდილო თის შტატებმა თავის-გამოდება მართალ საქმისთვის ცხადათ აგრძნობინეს. ახლა შეერთებულის შტატების ხახელმწიფო პირნი მოვალენი არიან რამდენიმე მილლიონს ნეგრებისთვის იზრუნონ. ესენი ომის გათავებით მონაობისაგან განთავისუფლდნენ, და რესპუბლიკურს პარტიას უნდა, რომ ამასთანავე იმათ სამოქალაქო და პოლიტიკური სიმართლე მიანიჭოს. მომავალი აღყვავება და სიძლიერე შეერთებული შტატებისა ბევრის მხრით არის დამოკიდებული იმაზედ, თუ როგორ წარიმართვის და გარდაწყდება ნეგრების საქმე.

ამერიკის საუბედუროთ პრეზიდენტის ჯონსონის და კონგრესის შუა თავდაპირველათვე უთანხმობა მოხდა, შემდეგ ეს უთანხმობა განძლიერდა და ბოლოს სრულს განხეთქილებათ გარდაიქცა. უმთავრესი მიზეზი ამ განხეთქილებისა არის ნეგრების საქმე. კონგრესს სურს, რომ ჯერ ნეგრები სრულიათ განთავისუფლოს, უფლებით იგინი გაათანასწოროს თეთრებთან, და მერმე, როცა სამხრეთის შტატები დათანახმდებიან ამაზედ, მაშინ ისინი კავშირში მიიღოს და იმათი წარმომადგენლები კონგრესში შეუშვას. პრეზიდენტი კი სხვა რიგათ ფიქრობს. „მე კავშირის აღდგენა ყოველთვის უაღრესად მიმაჩნდა, ნეგრების განთავისუფლება კი უმცირესად“ ამბობს ჯონსონი. ამიტომ პრეზიდენტს მოუთმენლათ უნდა, რომ როგორც იყოს ჩქარა აღადგინოს კავშირი უწინდელივე ფორმაზედ შეუცვლელათ, ესე იგი, სამხრეთს დაუბრუნოს სრული პოლიტიკური უფლება, გაათანასწოროს ჩრდილოეთთან, იმისი წარმომადგენლები კონგრესში შეუშვას და ამ სახით ნეგრების საქმის ისევ პლანტატორებს ჩაუგდოს ხელში. ამის გამო, ვინც კი პრეზიდენტის პოლიტიკას აბრკოლებს, იმას ის თავის და შამულის ჭტრათ მიაჩნია. აი რისთვის ეს ეწინააღმდეგება კონგრესს, რომელიც უკრძალავს სამხრეთის შტატებს პოლიტიკურ უფლებას და იმათ წარმომადგენლებს არ უშვებს ჯერ-ჯერობით კონგრესში. პრეზიდენტის აზრით თვითოეული შტატი უნდა დაუბრკოლებლათ კავშირში მიღებულ იყოს, სხვა შტატებთან თანასწორის უფლებითა, თუ ის თავის ერთგულობას ფიცით დაამტკიცებს. რესპუბლიკური პარტიისთვის ეს ცოტაა; ის ფორმალურს დაფიცებას არ სჯერდება. ამას განზრახვა აქვს, ისეთ მდგომარეობამდის მიიყვანოს თავისი სამხრეთის წინააღმდეგები, რომ იმათ ველარ შეიძლონ წარსული შფოთის განახლება. პრეზიდენტი ამისთვის ძრიელი რისხდება რესპუბლიკურ პარტიაზედ. ამის აზრით ახლა მამულის მტერები სამხრეთის შტატების მცხოვრებნი კი არ არიან, ეს მტერი არის ის განძლიერებული პარტია, რომელმაც ბრძოლის დროს კავშირი დაიცვა სამხრეთის ბოროტის წადილისაგან, ახლა კი, თავის მხრით, ეწინააღმდეგება კავშირის ჩქარა აღდგინებასა და აქამომდე სამხრეთს და ჩრდილოეთს გენყოფილებს სტოვებს. პრეზიდენტი აცხადებს, რომ ამ პარტიას ებრძოლება უკანასკნელ ღონისძიებამდე. მაგრამ ეს პარტიაც, თავის მხრით, როგორც სჩანს, არ დაუვარდება პრეზიდენტს არც მხნეობით და არც განუყრელი სიმტკიცით და შეუპოვროობით. ამ განხეთქილობას ცხადათ გამოგვიხატავს ჩვენ, ერთის მხრით, პრეზიდენტის ჯონსონის სიტყვა, რომელიც იმან წარმოსთქვა ალხის წინ ვაშინგტონის დღეობას 22 ფებერვალს, მეორეს მხრით-სიტყვა კონგრესის წევრის-სტიფენსისა.

აი პრეზიდენტის სიტყვიდგან გამოკრეფილი ადგილები:

„ჩემთვის, სთქვა პრეზიდენტმა ჯონსონმა, დიდი ნუგეშია, რომ ამდენს მოქალაქებს მოსწონს ჩემი პოლიტიკა. ამ პოლიტიკის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ღირსეულის დიდებით სამხრეთის შტატები შემოვაერთოთ და ამათი უწინდელი დამოკიდებულება მართებლობასთან აღვადგინოთ. უკანასკნელ წლების განმავლობაში ჩვენ მამულში აღმოჩნდა ორი პარტია ერთი მეორის მტერი; ერთსა მათგანსა უნდოდა დაემხო მართებლობა, რათამცა მონაობა უწინდელ მდგომარეობაში დაეტოვებინა, მეორე მხარეც სწორეთ აგრე მართებლობას ძირს უთხრიდა, ესენი თუმცა ასე საკოდავათ იყვნენ ბატონისგან შეწუხებულნი, რომ სულთადგმა აღარა ჰქონდათ, მაგრამ სხვა საქმეში, ბატონის წინააღმდეგებთან, ბატონისთვის თავდადებული იყვნენ და არა ზოგვიდნენ თავს სასიკვდილოთა. ბატონისგანაც ისე წაქეზებულები იყვნენ ამ გვარს საქმეში, რომ კაცი შემოჰკდომოდათ, იმედი ჰქონდათ, ბატონი გამოიხსნიდა. ერთის სიტყვით, ვერა დაიკლეს რა ვერც სახლისკაცებმა, ვერც მეზობლებმა. ძალითაც ეს ერეოდა და სამართალითაც. ამ გვარათ ყველა შეაშინა, ყველა თაგვის სოროში შეაძვრინა, ყველას ხმა ჩააკმედინა, ასე გაშინჯე, ისინიც კი შეაშინა, რომლების შიშით სხვა მეზობლები ძრწოდნენ, ისინიც ფარემუზის წინ მოიკაენენ ქეციანი თხასავითა. ბევრჯერ მოინდომეს ამ წითელ-ქოჩორა ბიჭებმა ფარემუზის პირდაპირ ჩხუბი და შეჯახება, მაგრამ ის თვალითაც არ დაენახვებოდა და გამოუსევდა ოცობით კეტიანს ბიჭებსა და აღარაფერი ბიჭობა არ გამოადგებოდათ. ბევრჯერ ისინიც გამოუსევდნენ ხოლმე კაცებსა; მაგრამ ფარემუზის ოდენი ყმები და არც ისრე საავკაცოთ გაგეშილი იმათი არ იყვნენ და ამის გამო ყოველთვის უბრუნდებოდნენ შინ თავის ნაქები ბიჭები თავ-პირ გასისხლიანებულები.—

(*) ამერიკის ბრძოლისა მიზეზი ნეგრების მონაობა იყო, რომლების აფრიკიდამ ამერიკაში გადაყვანა იწყეს მეთექვსმეტე საუკუნეში. მონაობა დაარსდა და გაიდგა ძირი თავდაპირველათვე. შეერთებულს სამხრეთის შტატებში, ჩრთილოეთის შტატებმა კი აიცილეს ეს უმძიმესი ბოროტება. მაშინ, რა საკვირველია, ამერიკელები არც ჩრდილოელები და არც სამხრელები არ გრძნობდნენ, თუ რა დამაბრკოლებელი იქმნებოდა შტატების წარმატებისთვის ნეგრების ამ გვარი მდგომარეობა, თუმცა კი იმათში მაშინაც იპოვებოდნენ ისეთი გონიერნი პირნი, რომელნიც ცხადათ ხედავდნენ, რომ მონაობა ამ ყმაწვილს სახელმწიფოსთვის საშინელი სენი შეიქნებოდა. მთელი ჩრთილოეთის ამერიკის საზოგადოებისთვის ეს შეუმჩნეველი დარჩა თითქმის ამ საუკუნის ოცდა ათ წლებამდის. მხოლოთ ამ დროებიდგან ჩრთილოეთის შტატების საზოგადოებაში გამოიჩინა თავი ახალმა რესპუბლიკურმა პარტიამ, რომელსაც მონაობის სიბოროტე და მავნებლობა კავშირის ბედნიერებისთვის ცხადათ გაეგო და ეგრძნო. ამ პარტიის სურვილი და წადილი კავშირში მონაობის მოსპობა იყო. ამას თავდაპირველათ წევრები ცოტა ჰყავდა. მაგრამ ამის მომხრეების გულწრფელობამ, მხნეობამ და მხურვალე მოქმედებამ წმინდის საქმისათვის ჩქარა განამრავლა რიცხვით ეს პარტია. პლანტატორებს (ნეგრების მებატონენი სამხრეთის შტატებში) დიდის მღელვარებით და კბილების კრაჭუნით ადევნებდნენ თვალს ამ პარტიის განმრავლებას. შემდეგ მუქარაც დაუწყეს: თუ რესპუბლიკელები გაჰბედვენო და მონაობას ხელს ახლებენ, წინააღმდეგ ჩვენის პოლიტიკისა, უთუოდ კავშირს დავარღვევთ და ცალკე დავაფუძნებთ სახელმწიფოსაო. ეხოლოდ პოლიტიკა პლანტატორებისა იმაში მდგომარეობდა, რომ მონაობისთვის კავშირში ფესვები უფრო მკვიდრათ გაედგმევინებინათ და გაევრცელებინათ ამ ახალს შტატებშიაც, რომლებიც თავისუფალნი იყვნენ ამ სენისგან. პლანტატორებს თავის საქმე ეშმაკობით და ქრთამით ისე მიჰყავდათ, რომ უმეტესი ნაწილი პრეზიდენტებისა იმათ პოლიტიკის მომხრენი იყვნენ. მაგრამ ამ საუკუნის ოცდ-ოთ წელიწადებში 'რესპუბლიკური პარტია ისე განძლიერდა, რომ პრეზიდენტის ადგილზედ თავის კანდიდატებს გამოიყვანდა ხოლმე. ბოლოს, 1860 წელში რესპუბლიკელების კანდიდატი ლინკოლნი ხმების ეგზავლესობით მთელის შეერთებულის შტატების პრეზიდენტათ აღმოჩრჩიეს. პლანტატორებმა ნახეს, რომ ძალა და უფლება მონაობის მტრებს ჩაუარდათ ხელში და იმათი საამურის სიბოროტის შესუსტება და გაუქმება ახლოვდებოდა, ადგნენ, დაარღვიეს კავშირი და ცალკე სახელმწიფო უნდა დაეფუძნათ. ამის გამო ჩრდილოეთის და სამხრეთის შუა საშინელი და უმაგალითო ბრძოლა მოხდა, რომელიც დაიწყო 1861 წელში. პირველათ ჩრდილოელები მომზადებულნი არ იყვნენ და სამხრეთს კი დიდი ხნის თავდარიგი ჰქონდა; ამის გამო ჯერ თითქმის სამხრეთი სჯობნიდა ჩრდილოეთს. ბოლოს ჩრდილოეთი საქმეს ენერგიულათ შეუდგა და სამხრეთის სწრაფულ დამარცხებით მთელი კაცობრიობის გონიერი ნაწილი გაახარა...

აი რა ანდაზა დადის ამათზედ ამათის სოფლის მცხოვრებლებში. ეს ამბავი მომხდარა ზაფხულის პაპანაქება სიცხეში. ქვეყანა სამკალათ თურმეა გასული და აბა ესენი რათ იკადრებდნენ თვითონ მკასა და არც მუშა ჰყოლიათ, რომ თავს დასდგომოდნენ (თუკი ან მუშას ადგებოდნენ როდისმე თავსა!) უფროს ძმას მოჰბეზრებია თავის სიმიდის ძარს ქვეშ ტიტველა ქვებზედ ჯდომა, წამომდგარა და ჩვეულებისამებრ გაუწევია დუქნისაკენა საბაასოთ. დუქანი დაკეტილი დახვედრია. მერე უთვალიერებია, ბანზედ ხომ არავინ ზისო, წავიდე ვემუსაიფოო. იქაც ვერავინ დაუნახავს და გაუწევია მეწისქვილისაკენ წისქვილში. იქაც წისქვილი დაკეტილი დახვედრია. უფიქრია, სად წავიდე? და ვერა მოუფიქრია რა. აქ გაურთვია წისქვილის ჩახრიალის წყლის ჩხრიალსა და ხუვილსა, დამჯდარა იქვე წისქვილის კართანა, მოუკიდებია შინდის ტარიანის პატარა ჩიბუხისთვის და მისცემია რაღაცა გამოურკვეველს ტკბილს განცხრომასა, რომელშიაც იმყოფება ბანგ-მიღებული კაცი, რომელსაც დარევია ძილი და ფიქრის თავი აღარა აქვს. ამ მდგომარეობაში,—რომლიდამაც ოდნავ გამოვიდოდა ხოლმე მხოლოდ იმისთვის, რომ აქეთ-იქით ეჭიპურტენინა მწარე თამბაქოსგან მოსული ნერწყვი,—მოადგა თავს ცხენით ყაზახი, რომელიც ვერ შენიშნა სრულებით ამ მოხუცმა.

—ეი! კაცო! ა გდე მამასაკლისი?

ამან გაიგონა ეს ხმა, მაგრამ დაზარდა რომ კარგა გამორკვეულიყო თავის ტკბილის განცხრომიდამ და არაკი მიიხედა იქითკენ, საიდამაც ელაპარაკებოდნენ.

—ტებე გოვორიატ, სად მამასაკლისი?

ამან ძლივს გაანძრია თავი მისახედავათ, და გაოცდა, რომ ყაზახი თავს ადგა და რაღასაც ელაპარაკებოდა.

—Чаго жъ ты, чортъ, не отвѣчаешъ, а!? სადა მამასაკლისი?

ამ გვარის ყაზახისაბაიყუშმარაკი ვერა გაიგორა, წამოდგა და გასწია თავშეუდებლათ ნელანელა შინისკენა ნაწყენის გულით, რათგანაც ეგონა, რომ ყაზახმა ის მამასახლისათ ჩაგდო, ერთი ეს კი წაიბუტბუტა:

—ნიატუ, ბრატ,—ნიატუ!... მამასახლისი სხვა არის.

ყაზახი გამოვიდა მოთმინებიდამ, მოისვა თავისებურათ მათრახს ხელი.

—Вотъ те и нѣту!

—ქნიაზ! ი კნიაზ! დაიძახა მოხუცმა, რომელიც არას დროს არ ელოდა ამ გვარს მოქცევას.

—Поди, теперь хоть князю жалисъ, хоть кому хочешь!....

აი ამგვარს ხალხთანა ჰქონდა ფარემუზს საქმე. ამან მიჰყო ხელი ცოტ-ცოტათი და ჯერ საცა კარგი მიწები ჰქონდათ ამან წაართვა; მერე დაუწყო რთმევა საუკეთესო ხოდაბუნებსა და შემდგომ წაართვა უკეთესი ვენახებიცა. სადაც ძალაზედ დაუდგებოდნენ, იქ ფარემუზის კაცები და მსახურები ცემით ტყავს აძრობდნენ; თუ გაჰბედავდნენ საჩივარსა, მაშინ ხარჯის მეტს სამართალს ვერ ჰხედავდნენ. ბოლოს იქამდინ მიახწია საქმემა, რომ ტყეშიაც კი აღარ ატარებდა ფარემუზ ამ სამს ძმას. ჯერ ამ მიზეზითა, რომ ისინი ბევრნი იყვნენ და ბევრს შეშასა ჰხარჯავდნენ; მერე უფრო კარგი მიზეზი მოუდო: მოუგონა რაღაცა კანონი..... ვითომც ტყე იმას ეკუთნოდეს, როგორც უფროსის ძმის შვილს და დასამტკიცებლათ ამ კანონის სიმართლისა წარუდგინა ის მიზეზი, რომ ძმების გაყრაში იმათს მამას ერგო საუმცროსოში სახლ-კარი, კალო-საბძელი, ბაღი და სხვა, და იმის მამის საუფროსოში სხვა საუფროსოს გარდა უნდა რგებოდა ტყეცა. ისე გაუჭირა საწყალს ბიძაშვილებს საქმე, რომ ცხადათ ისინი ველარ დადიოდნენ ტყეში.

ფარემუზმა არამც თუ მარტო თავის სახლისკაცები მოიყვანა ამ მონებაში და მძლავრობდა, ამან ესევე დღე დააყენა სხვა ამაზედ უფრო ფხიანს მეზობლებსაცა. მიიმძლავრა ცოტ-ცოტათი იმათი მამულები, ტყე და სხვა; შეუკრა სარწყავი წყალი და მინამ ბეგარა არ მოუმატა ერთი ორათ, მინამ არ დაანება. სადაც გაუმძლავრდებოდნენ... ფარემუზის კაცები იჩენდნენ ბატონის ძალას და ტყავს აძრობდნენ ცემით, არამც თუ გლეხებსა და ბევრს თავად-აზნაურებსაცა. საკვირველი იყო ფარემუზის გლეხებისა და მსახურების საქმე. ესენი თუმცა ასე საკოდავათ იყვნენ ბატონისგან შეწუხებულნი, რომ სულთადგმა აღარა ჰქონდათ, მაგრამ სხვა საქმეში, ბატონის წინააღმდეგებთან, ბატონისთვის თავდადებული იყვნენ და არა ზოგვიდნენ თავს სასიკვდილოთა. ბატონისგანაც ისე წაქეზებულები იყვნენ ამ გვარს საქმეში, რომ კაცი შემოჰკდომოდათ, იმედი ჰქონდათ, ბატონი გამოიხსნიდა. ერთის სიტყვით, ვერა დაიკლეს რა ვერც სახლისკაცებმა, ვერც მეზობლებმა. ძალითაც ეს ერეოდა და სამართალითაც. ამ გვარათ ყველა შეაშინა, ყველა თაგვის სოროში შეაძვრინა, ყველას ხმა ჩააკმედინა, ასე გაშინჯე, ისინიც კი შეაშინა, რომლების შიშით სხვა მეზობლები ძრწოდნენ, ისინიც ფარემუზის წინ მოიკაენენ ქეციანი თხასავითა. ბევრჯერ მოინდომეს ამ წითელ-ქოჩორა ბიჭებმა ფარემუზის პირდაპირ ჩხუბი და შეჯახება, მაგრამ ის თვალითაც არ დაენახვებოდა და გამოუსევდა ოცობით კეტიანს ბიჭებსა და აღარაფერი ბიჭობა არ გამოადგებოდათ. ბევრჯერ ისინიც გამოუსევდნენ ხოლმე კაცებსა; მაგრამ ფარემუზის ოდენი ყმები და არც ისრე საავკაცოთ გაგეშილი იმათი არ იყვნენ და ამის გამო ყოველთვის უბრუნდებოდნენ შინ თავის ნაქები ბიჭები თავ-პირ გასისხლიანებულები.—

მაგრამ იმ განზრახვით, რომ მონაობა მოესპო. ვინც უნდა იყვნენ საზოგადო სიმშვიდის დამარღვეველნი, სამხრელები თუ ჩრდილოელები, მე მაინც ჩემს უწინდელს აზრზედ მტკიცეთ ვიდგები. როცა სამხრეთის შტატები აშფოთდენ, მე მტკიცედ ვსდეგ მართებლობისკენ. ასევე ვექცევი ახლა სამხრეთის შტატების წინააღმდეგს ჩრდილოელებს. ჩემთვის კავშირის უწინდელ საფუძველზედ შეუცვლელათ დაცვა ყოველთვის პირველ პლანზედ იდგა, ხოლო მონაობის გაუქმება ან დაფარვა მეორე პლანზედ. სამხრეთის იარაღით წინააღმდეგობა მმართებლობის მძლავრის მარჯვენითა მოსპობილ იქმნა, და როცა მართებლობამ ეს გაათავა, მაშინ დამარცხებულთა შემდეგის სიტყვებით მიუბრუნდა: დაჭყარეთ იარაღი, ყველასთვის საზოგადო კონსტიტუცია მიიმჩნიეთ, სჯულს დაემორჩილენით და მაშინ ყველაფერი დავიწყებულ იქმნება. იმათ, მართლა, იარაღი დაყარეს, თავიანთი შეცთომილება წმიდის გულით იგრძნეს და შეინახეს და საზოგადო კონსტიტუციის დამორჩილებაზედ თანხმობა გამოაჩინეს. ახლა, საყვარელნო თანამემამულენო, დავათვალიეროთ, რა საქმეები წარმოებს ჩვენს გარეშემო? ჯერ ჩვენ თოფის წამლის ბოლი არ მოგვშორებია და ახალი შფოთი გვიჩნდება. ამ ახალი შფოთის წადილი ის არის, რომ, წინააღმდეგ მართებლობის პოლიტიკისა, სამხრეთის შტატები ჯერ კავშირში არ შემოუშვას და დამორჩილების ქვეშ კი ჰყვანდეს. სამხრეთის შტატებში მე შეეხვდი ღალატს და მოღალატეებს, დეევისს, სლიდელლს და მრავალ სხვებს, რომლების მოხსენება საჭირო არ არის; ახლა ჩრდილოეთში ვხედავ კაცებს, რომლების სახელებს არ ვიტყვი (ყვირილი: სთქვით), და რომლებიც კავშირის მავნებლის განძრახვით მოძრაობას მოახდენენ. ითხოვენ, რომ მე დავასახელო ეს კაცები. თანახმა ვარ ავასრულო ეს თხოვნა და დავასახელებ: თადეუზ სტიფენსსა, ჩარლს სომნერსა, ვენდელს ფილლიპსა, რომელთაც, მრავალის სხვა პირების შემწეობით მმართებლობის საფუძვლის შერყევა სურთ. შეუძლიანთ ამათ, რამდენიც უნდა მაძაგონ, როგორც უნდა მამთხარონ, მე მაინც მშვიდობიანათ შეუდგები ჩემს გზასა (უწონებს ხალხი), და არ შეუშინდები ჩემს წინააღმდეგებსა (ყვირილ: ხალხი მხარს მოგცემს). საქვეყნოთ იყო გამოცხადებული, რომ რომელსამე პირს თავი უნდა მოეკვეთოსო. „უნდა მოვიცილოთ ის დაბრკოლება, რომელსაც წინაგვიდგენს პრეზიდენტი“, წარმოსთქვა ერთმა პირმა. მე ეჭვი არა მაქვს, რომ ამ პირს სახეში ჰქონდა ჩემი სიკვდილი. ბანა ჯერ კიდევ ცოტა სისხლი დაღვრილა? დეეწამართვან სიცოცხლე, მაგრამ საქვეყნოთ კი, მთელი ხალხის წინაშე, და უნდა კი ახსოვდეთ, რომ ეკლესია ესავს მოწამეთ სისხლსა. კავშირი, ჩემო მეგობარნო, განძლიერდება ლონითა და დიდებითა მაშინაც კი, როდესაც მის საფუძვლათ იქნება სისხლი. ბოლოს განგიცხადებთ მე თქვენ გულითადს მადლობას იმ პატივისათვის, რომელიც მე თქვენ მალირსეთ.“—

აი პრეზიდენტის სიტყვაზედ პასუხი კონგრესის წევრისა, სტიფენსისა, წარმოთქმული დეპუტატთ პალატაში.

“ბევრი გაზეთები ქადაგობენ, სთქვა სტიფენსმა, ვითომც მე პრეზიდენტის მტერი ვიყვე. ამაზედ მეტი შეცდომა აღარ იქმნება; არამც თუ მტრულათ არ ვექცევი პრეზიდენტს, არამედ ჩემს გულში ვზრდი იმის უმაღლეს პატივისცემასა. — თითქოს განცვიფრებული სტიფენსის სიტყვებით დეპუტატი პრაისი გაწყვეტინებს ორატორს (უწინვე დაედოთ ასეთი პირობა) და მრისხანის ხმით ჰკითხავს: განა ეს ის სტიფენსი არ არის, რომელსაც ამას წინათ პრეზიდენტმა დაარქვა მეშფოთარი, მოღალატე და მას თავის მოკვლის განზრახვა მიაწერა“? „როგორ? ბანა ჩემს მეგობარს შეეძლო თუნდა ერთს მინუტს ეფიქრა, რომ გაზეთებში დაბეჭდილი სიტყვა პრეზიდენტისაგან ნამდვილათ წარმოთქმული ყოფილიყვეს? (მოძრაობა და სიცილი). თუ ნამდვილათ ეს ასე მოხდა, მაშ მე ჩემს მეგობარს ცოტა რასმე საიდუმლოთ ვაცნობებ. ის სიტყვა, რომელმაც ჩემი მეგობარი დაპუბლიკა მოატყუა ფრიად უდიდესი მისტიფიკაცია (მოტყუება) იყო, ძალიან იშვიათათ შესაძლებელი. ის იყო მომზადებული თვითონ იმ სპილენძგოგრიანებისაგან (პლატონტორებს დაცინვით სპილეძგოგრიანებს ეძახიან), რომელნიც 1865 წლის 4-ს აპრილიდგან პრეზიდენტს თვალს არ აშორებენ და ცდილობენ ის თავანთ ბადეში გაბანან. როგორც მაშინ იმათ ისარგებლეს ერთის მათთვის სასიამოვნო შემთხვევით (ჯონსონის სასმელების მოყვარულება), სწორეთ აგრეთვე ბოლოს დროს ისინი პრეზიდენტს მიუწერდნენ უკანასკნელს სიბილწეს და პირუტყუელს ზნეობას. მოისმინეთ, რას ამბობდა 1865 წლის 7-ს მარტსა ერთი პლანტატორების გაზეთი ჯონსონზედ: „ლოთმა, ამოსავარდნელმა ქალიგულამ, რომის ყველა იმპერატორებზედ ყოველად გარყვნილმა კონსულის წოდება მისცა თავის ცხენს, იმისთანა წოდება, რომელსაც მხოლოდ უმაღლესნი რესპუბლიკის სარდალნი და სახელმწიფო პირები ეღირსებოდნენ ხოლმე: სციპიონები, კატონები, იული ცეზარი. მაგრამ ამ მოქმედებით კონსულის წოდება ისე არ იყო შერცხვენილი და დამცროვილი, როგორც საძაგელ იქმნა და დამდაბლდა ვიცეპრეზიდენტის წოდება ანდრიუ ჯონსონის აღმორჩევითა. წარსულს უკეთეს დროში ვიცეპრეზინდენტის თანამდებობას დიდი ნიჭის პატრონი პირები ასრულებდენ, რომელნიც დიდს სამკაულს მამულისას შეადგენდნენ: ადამსები, ჯეფერსონები და ლინკონები; ახლაკი ამ თანამდებობაში დაინიშნის უსირცხო და ლოთი პირუტყვი, რომელთანაც შედარებით პალიგულას ცხენი კაცს ეჩვენება პატიოსანი, იმიტომ რომ ეს ცხენი საძაგელი ბიწიერებით გარყვნილი არ იყო.“ რასაკვირველია, კეთილი გონიერი ნაწილი პუბლიკისა სულაც არ ერწმუნებოდა ამ დაწამებას. საეჭო არ არის, რომ ჩვენ უნდა ვსწუხდეთ ჩვენის პრეზიდენტის ასე ულირსის სახით შერცხვენას. რადგანაც ჩვენმა წინააღმდეგებმა თავის განზრახვა ვერ აასრულეს დაწამების შემწეობითა, ამიტომ, ადვოკატურის ეშმაკობით თავისი ვლიენტი (მომხრე) აცდინეს და თავის გალიუცინაციებზედ (გონების ბოდვა) თვითონ ალაპარაკეს. თუ ჩვენი წინააღმდეგები აგრძნობინებენ და ათქმევინებენ თავის ქლიენტს, რომ ის თავის სიტყვაში არავისგან გაგონილს სიცრუვეს ბოდამდა, მაშინ საქმე იმათი მოგებული იქმნება (სიცილი). თუ კი ნამდვილათ ისინი პუბლიკას დააჯერებენ, რომ პრეზიდენტმა ჰსთქვა ნამდვილათ ის უბედური სიტყვა, მაშინ ისინი ნათლათ დაგვიმტკიცებენ, რომ აზრი, რომელიც იმათ პრეზიდენტზედ შეუდგენიათ სრულიად მართალი ყოფილა. (სიცილი.) მაგრამ ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით, რომ პრეზიდენტს არა სიტყვა არ წარმოუთქვამს (კიდევ წასქთებათ სიცილი.) უნდა სწორე ვსთქვათ, რომ სპილენძ—გოგრიანები თავის საქმეს ხერხიანათ შეუდგნენ. როგორ დაწვლილებით მოგვითხრეს თავიანთი მოგონილი მისთიფიკაცია, რომ პუბლიკა უფრო ადვილად მოეტყუებინათ! ისინი გვიამბობდნენ ჩვენ, ლინკოლნის სიკვდილის მომხრეებმა ხელი გაუყარეს პრეზიდენტსაო და ისე აიყვანეს საორატორო ტრიბუნაზედ, პრეზიდენტის გვერდით იდგაო ერთი მეშფოთართაგანი მერი, რომელიც ღირსი იყო რამდენი წლისვე წინეთ საპყრობილეში ჩასულიყო. ასე დაწვლილებით გვიამბობდნენ სპილენძ-გოგრიანები თავის მოთხრობას იმ იმედით, რომ პუბლიკა უფრო ადვილად დაეჯერებინათ; მაგრამ ჩვენკარგათ ვიცით, რომ ამ მოთხრობაში ერთი მართალი სიტყვაც არ არის და თავით ბოლომდის წმინდა სიცრუვეა“.

პრეზიდენტის და კონგრესის მოქმედება კიდევ უფრო ცხადათ გვაჩვენებს, თუ რა საშინელი განხეთქილება არის იმათ შუა. ბამოაცხადა თუ არა პრეზიდენტმა თავისი კავშირის აღდგინების პროგრამმა, კონგრესმა, წინააღმდეგ მისა მაშინვე მოახდინა შემდეგი გარდაწყვეტილება: სინამდის სამხრეთის შტატები არ დაემორჩილებიან იმ პირობაებს, რომელსაც კონგრესი კავშირში შემოსასვლელათ იმათ დაუდებს, მანამდის იმ შტატებისა წარმომადგენლები კონგრესში არ შემოიშვებიან. თავისი მხრით პრეზიდენტი კონგრესს სამაგიეროს უხდის: რომელიც კი კონგრესის განკარგულება იმის დამტკიცებაში საჭიროებს და წინააღმდეგია იმისი პოლიტიკური პროგრამისა, ყველაზედ უარს ამბობს, არ ამტკიცებს სდებს veto (ვეტო-აღკრძალვა). აქამდის ჯონსონმა კონგრესის ორს ბილლს დასდო ვეტო: პირველი ბილლი შეეხებოდა განთავისუფლებულ ნეგრების ბიუროს (იხილე გაზეთის 7 №); მეორე ბილლი იყო ნეგრების სამოქალაქო სიმართლეზედ. ამ ბილს აზრათ ჰქონდა, რომ ნეგრებისთვის ის სამოქალაქო სიმართლე მიეცა, რომლითაც თეთრები სარგებლობენ. პრეზიდენტი ჯონსონი სენატში მიწერილ წერილში ამბობს: „მე მოვიხმარ კონსტიტუციით მონიჭებულს უფლებას, რომ აღვკრძალო ეს უკანასკნელი ბილლი ნეგრების სამართალზედ, და გამოვაცხადებ მას კონსტიტუციის წინააღმდეგათ, უსარგებლოთ და უკანონოთ. აი ამ აღკრძალვის მიზეზები, ჯონსონის წერილში გამოცხადებულან:

„აქ ჩვენ წარმოგვიდგება უაღრესი საჭიროება ვიკითხოთ ჩვენთვის: ეთანახმება გონივრულ პოლიტიკასა, რომ მთელს შეერთებულის შტატების ნეგრებს მოქალაქობის წოდება მიეცეთ ჰაშინ, როდესაც კონგრესში არ არიან მიღებულნი თერთმეტი შტატების წარმომადგენლები? — რა ჭკუა იქნება ვიფიქროთ, რომ ოთხს მილლიონს ნეგრებს რომელნიც აქამომდე მონებაში ყოფილან, ჰქონდეთ იმისთანა თვისებანი, რომელნიც იმათ ყველასა სამოქალაქო სიმართლის ღირსად ხდიდნენ, როდესაც უცხო ქვეყნიდგან ახალათ მოსულმა პირმა, სრულიად განათლებულმა, ხუთი წელიწადი უნდა იცადოს სჯულისამებრ, რომ ეს სიმართლე მოიპოვოს.

ვაშინგტონში (ჩრდილოეთისამერიკის სატახტო ქალაქი) დაჯერებულნი არიან, რომ პრეზიდენტის ვეტოს ყურს არ მიუგდებს კონგრესიო და ამ უკანასკნელს ბილლს ხმების ორის წილით დაამტკიცებსო. ზოგი გაზეთები კიდევაც გვაცნობებენ, რომ, როგორც სენატში, ისე დეპუტატთ პალატაში, რადიკალებმა (*) ხმების ორი წილი შეკრიბესო. თუ ეს მართალია, მაშინ უკანასკნელი ბილლი დამტკიცდება და ძალას მიიღებს როგორც კანონიერი კონსტიტუციის სჯული, და ნეგრები სამოქალაქო სიმართლით თეთრებთან გათანასწორდებიან, წინააღმდეგ პრეზიდენტის ნებისა.

ამდენმა პრეზიდენტის წინააღმდეგობამ რესპუბლიკური პარტია მოთმინებითგან გამოიყვანა. აი რას სწერს ვაშინგტონელი კორრესპონდენტი, ერთს ფრანციცულს გაზეთში იმაზედ, თუ რა გვარი წინააღმდეგობა პრეზიდენტის პოლიტიკისა შეუძლიან რესპუბლიკურ პარტიასა: „ადრევ დაწყობილი აგიტაცია, რომ პრეზიდენტი ჯონსონი მიეცეს სამართალში, გრძელდება და მრავლდება. მხოლოთ ძნელია კი, კონგრესმა გარდაწყვეტით მოინდომოს-პრეზიდენტს უფლება წაართვას და იგი მისცეს სამართალში. რადიკალები მაინც ცდილობენ, რომ ჯონსონის სასამართლოში მიცემა კონგრესში ოფიციალურად მოითხოვონ. მაგრამ, რადიკალებს სხვაც ბევრი ღონის-ძიება აქვსთ, რომ მართებლობა ძნელ მდგომარეობაში შეიყვანონ. რადგანაც თავის მხარეზედ ჰყავთ უმეტესი ნაწილი კონგრესისა, იმათ შეუძლიანთ გადასდონ კონგრესის შეკრებილება დიდ ხნობით და ამ სახით ბევრი მართებლობის საჭირო განკარგულებანი არ დაამტკიცეს. იმათ შეუძლიანთ უარი უთხრან მართებლობას მოთხოვნილ ფულებზედ. ამის გარდა პრეზიდენტს არ შეუძლიან, სენატის უნებურათ ვინმე თანამდებობაში დანიშნოს; რადიკალებისთვის ესეც ცოტაა: სტიფენსმა შეიტანა კონგრესში წინადადება, რომ პრეზიდენტს წაერთვას ჩინოვნიკების თანამდებობიდამ დათხოვნის უფლებაც სენატის უნებურათ. თუ ამ წინადადებას როდისმე კონგრესი მიიღებს, მაშინ პრეზიდენტი თავის წინააღმდეგების და მომხრების თანამდებობიდგან დათხოვნის ძალას დაჰკარგავს და იმისი სახელმწიფო საქმებზედ ახლანდელი გავლენა სრულიად გაუქმდება.

ერთმა ღმერთმა იცის, მოხდება თუ არა მორიგება პრეზიდენტის და კონგრესის შუა. პრეზიდენტის უზომო ცუდმადება, ცხადი სიძულილი ყველასი, ვინც კი პირში მას არ ეფერება და არ აქებს, მისი ორპირობა კონგრესის იმასთან მორიგებას ძრიელ აძნელებენ. რადგანაც პრეზიდენტი სპილენძგოგრიანების მხარეს ცხადათ გადვიდა და არ სურს კონგრესს არაფერი დაუთმოს, ამიტომ კონგრესს განძრახვა აქვს, კავშირის დაწყობილების გადაკეთებას თვითონ შეუდგეს. კონგრესის აზრით პრეზიდენტს არ ჰქონდა უფლება, რომ სჯულის დამდების უფლების უნებურათ, მარტო თავის ძალით სამხრეთის შტატებში ახალი წესდებულება შემოელო და თუ იმან ეს მოხდინა და ახლა უარს ამბობს, რომ ამ საქმეში კონგრესთან მორიგდეს, მაშ კონგრესს აქვს სრული უფლება აგრეთვე მარტო თავის ძალით იმოქმედოს და თავის პლანზედ კავშირის აღდგინებას შეუდგეს. კონგრესის განკარგულებას უნდა ჰქონდეს ისეთივე ძალი და მნიშვნელობა, როგორც პრეზიდენტისასა, და არა ნაკლები. თუ პრეზიდენტს აქვს უფლება უკონგრესოთ გამოსცეს განკარგულება, კონგრესსაც, თავის მხრით, შეუძლიან. პრეზიდენტის დაუკითხველათ მოახდინოს ზოგიერთნი განკარგულებანი. თუ მოხდა, რომ რომელიმე სამხრეთის შტატის კავშირის ერთგულმა მცხოვრებლებმა უყურადღებოდ დააგდეს ჯონსონის განკარგულება და მოინდომეს თავის წარმომადგენლების აღმორჩევა და კონგრესში გამოგზავნა, თანახმად კონგრესის განკარგულებისა, მაშინ კონგრესი მიიღებს ამათ და ჯონსონის ამ შტატის მომხრეების წარმომადგენლებს კი უკანვე გაგზავნის. ეს პლანი ჯერ კიდევ საკმაოთ არ განვრცელებულა და ამის სრულს მოსაზრებას დრო მოუნდება. და თუ ეს პლანი აღსრულდება, მაშინ მოხდება ერთი ამ ორთაგანი: ან სამხრეთის შტატები ისევ ომს აუტეხენ ჩრდილოეთს, ან პრეზიდენტს ჯონსონს დათმობის იქით გზა აღარ ექნება და კონგრესის პოლიტიკას დათანხმდება.—

(*) რადიკალი ეწოდება იმისთანა პირს, რომელსაც სწადიან და ცდილობს, ძირი ცხვლილება მოახდინოს საზოგადოებაში და სახელმწიფოში.

მოკლე განხილვა მმართველობის სხვა და სხვა ფორმისა.

გაზეთის საკითხავად ძალიან საჭირო არის მმართველობის სხვა და სხვა ფორმის (სახის) ცოდნა. ამის უცოდნელად მკითხველი საპოლიტიკო ამბებიდამ თითქმის ვერაფერს გაიგებს. რადგანაც ჩვენში ამ გვარი ცნობები გავრცელებულნი არ არიან, ამისთვის ამაზედ მოკლედ მოლაპარაკება საჭიროდ დავინახეთ.

მმართველობის ფორმას ან სახეს უწოდებენ იმ წესს და დაწყობილებს, რომელიც არსებობს სახელმწიფოში ხალხის სამართავად. განათლებულს და რიგზედ დაწყობილს სახელმწიფოებში ხალხის სამართავად დაწესებულია სამ გვარი უფლება: 1) სჯულის-დამდები, 2) აღმასრულებელი ანუ ადმინის-

ტრატივული და 3) სამსჯავრო. თვითოეულს იმათგანს განსაზღვრილი აქვს საგანი მოქმედებისა. სჯულის-დამდები უფლება გამოსცემს კანონებს სახელმწიფოში, აღმასრულებელი მართავს სახელმწიფოს ამ კანონების ძალით, სამსჯავრო განიხილავს და გადაწყვეტს სადავო საქმეებს.—იმ უმთავრესს უფლებას, რომელიც განაგებს და მართავს მთელს სახელმწიფოს, უზენაესი უფლება ჰქვიან.

სხვა და სხვა სახელმწიფოში მმართველობის ფორმა სხვა და სხვა ნაირია, უმთავრესი ფორმა ორ გვარია: მონარხიული და რესპუბლიკური. მონარხიული ეწოდება იმ მმართველობის ფორმას, რომელშიაც უზენაესი უფლება ერთის პირის ხელშია. ამ პირს ჰქვიან მონარხი (*) ანუ ხელმწიფე და სახელმწიფოს მონარხიას ეძახიან. თუ ხელმწიფობა მემკვიდრეობით გადადის ერთის პირისაგან მეორეზედ, მაშინ მმართებლობას ეტყვიან მონარხიულს მემკვიდრეობითი და თუ ხელმწიფე ამორჩევით ინიშნება, მაშინ—ამორჩევითს. როდესაც სახელმწიფოში უზენაესი უფლება რამდენისამე პირების ხელშია, მაშინ ამ სახელმწიფოს რესპუბლიკას უწოდებენ და იმის მმართველობის ფორმა რესპუბლიკური იქმნება.

მონარხიული მმართებლობა სამ გვარია: 1) დესპოტური 2) გარეშეუსაზღვრელი ან აბსოლუტური და 3) გარეშესაზღვრული ან კონსტიტუციური.

როცა ხელმწიფე თავის ნებაზედ მართავს თავის სამფლობელოს, არ მიხედავს არა კანონს და თავის ქვეშევრდომებს ისე ექცევა, როგორც თვითონ უნდა და ეხალისება, მაშინ ამ გვარს მმართებლობას დესპოტურს ეძახიან. დესპოტურს სახელმწიფოში მმართებლობის უფლება დაყოფილი არ არის. თუმცა იქ დაწერილი სჯული არსებობს, მაგრამ საქმით იმას არ ასრულებენ. აქ ხელმწიფის ნება და იმისის მმართებლობის ნება სჯულზედ უმაღლესია. მცხოვრებლების სიცოცხლე და საკუთრება სრულიათ იმათს ხელშია. დესპოტური მმართებლობის ფორმა არსებობს მხოლოდ გაუნათლებელს ქვეყნებში, სადაც ხალხი დასცემულ დამონავებულია, მაგალითად სპარსეთში, ჩინეთშიდა ასხვა აზიის სახელმწიფოებში.

რომელს სახელმწიფოშიაც ხელმწიფე მართავს თავის სახელით და უფლებით ამტკიცებს და გამოსცემს კანონებს და ამ კანონების ძალით თვითონ მართავს ხალხს, იმ სახელმწიფოს მმართებლობას ჰქვიან გარეშეუსაზღვრელი ან აბსოლუტური და ხელმწიფეს თვითმპყრობელი. აბსოლუტურს სახელმწიფოებში სამ გვარი უფლება (სჯულის-დამდები, აღმასრულებელი და სამსჯავრო) მხოლოდ ხელმწიფეზედ არის დამოკიდებული. ხელმწიფე ნიშნავს მოხელე კაცებს, რომელნიც მართავენ იმის წინაშე არიან პასუხის მგებელნი.

გარეშესაზღვრულს ან კონსტიტუციურს უწოდებენ იმ მმართველობას, რომელშიაც ხელმწიფის უფლება გარეშეზღუდულია. კონსტიტუციით კონსტიტუცია ანუ ხარტია არის წესდება, რომელიც განსაზღვრავს ხალხის და ხელმწიფის უფლებას. ამ გვარს წესდებას ურთიერთის თანხმობით ხელმწიფე და ხალხის წარმომადგენელი დეპუტატები შადგენენ და დაამტკიცებენ. კონსტიტუციური მმართებლობა არსებობს ყოველს ევროპის სასელმწიფოებში, რუსეთის და ოსმალეთის გარდა.

(*) მონარხი ბერძნულად ნიშნავს ხელმწიფეს. ხელმწიფებს სხვა და სხვა ტიტული ან სახელი აქვთ: იმპერატორი, კაროლი, მეფე, დიდი ღერცოგი, ღერცოგი, დიდი მთავარი, მთავარი, სულთანი, შაჰი, ხანი და სხვ. ამის გამო იმათს სამეფლობელოს ეწოდება: იმპერია, საკაროლო, სამეფო, სადერცოგო, სამთავრო, სასულთნო, სახანო და სხვ.

სხვა და სხვა სახელმწიფოში სხვა და სხვა ნაირი კონსტიტუცია არის; მაგრამ სადაც კონსტიტუცია ნამდვილად არსებობს და არა მარტო ქაღალდზედ, სადაც იმას საქმით ასრულებენ, იქ უმთავრესი საფუძვლები თითქმის ყოველგან ერთი და იგივეა. ჩვენ აქ შემოკლებით მოვიყვანთ კონსტიტუციურის მმართებლობის უმთავრესს საფუძვლებს. ამ მოკლე განხილვაში ჩვენ გვექმნება მხედველობაში უფრო ანგლიის კონსტიტუცია, რადგანაც ის არის წარმომადგენელი ნამდვილის კონსტიტუციისა და ხალხის თვით-მმართველობისა. ანგლიის სახელმწიფო დაწყობილებაა მაგალითად აქვსთ ევროპაში ყველა განათლებულს ხალხებს და როდესაც ისინი თავიანთს კონსტიტუციას აღგენდნენ, იმას ბაძკიდენ და იქიდამ ბევრი გადმოიღეს.

კონსტიტუციურს სახელმწიფოში გარკვეულია უფლება და უაღრესობა, რომელიც ხელმწიფეს აქვს მითვისებული. ამ უფლებას და უაღრესობას ხელმწიფის პრეროგატივი ჰქვიან. კონსტიტუციურს ქვეყნებში ხელმწიფე ითვლება სახელმწიფოს თავად. ის არის სახელმწიფოს წარმომადგენელი შიგნით და გარეთ სხვა სახელმწიფოებს წინაშე. ის არის თავი სარდალი ჯარისა. იმის სახელით ეძლევა თანამდებობა სახელმწიფოს მოხელეებს. ის არის ჯილდოს და ღირსების მიმცემი. ხელმწიფე არის შეუხებელი პირი: იმის სამართალში მიეცემა არ შეიძლება. კანონი მხოლოდ მაშინ მიიღებს ძალას, როდესაც ხელმწიფე დაამტკიცებს; მაგრამ მარტო თავის ნებით იმას არ შეუძლიან უწინდელი კანონი ჩამოშალოს ან ახალი გამოსცეს. იმას შეუძლიან აგრეთვე შეუმციროს ან სულ აპატიოს სასჯელი დამნაშავეს, მაგრამ მომატებინება კი არა აქვს. იმას არ შეუძლიან ხალხს პარკი დაადვას ხალხის წარმომადგენელების ნება დაურთველად. ხელმწიფეს თავის საჭიროებისათვის და სასახლის სარჩენად დანიშნული აქვს ჯამაგირი, რომელსაც სივილ—ლისტი (Civil-list) ჰქვიან (*) ამ ჯამაგირის გარდა იმას ნება არა აქვს ფული გამოიტანოს სახელმწიფოს ხაზინიდამ. ტახტზედ ასვლის დროს ხელმწიფემ უნდა დაიფიცოს, რომ ხალხის მართვას დაიწყებს თანახმად კონსტიტუციისა და იმას არ გადაუდგება.

როგორც აქედამ მკითხველი დაინახავს, კონსტიტუციით ხელმწიფეს დიდი უფლება აქვს, მაგრამ ნამდვილად, საქმით ხელმწიფე კი არ მართავს ქვეყანას, იმას მართავს თვითონ ხალხი, ე. ი. ხალხის წარმომადგენელი პირები, რომელთაც ეკუთვნისთ სჯულის-დამდები უფლება. კონსტიტუციურს ქვეყნებში სამი უფლება ცხადათ არის განსაზღვრილი და ერთი მეორეს პირდაპირ არ ექვემდებარება. სჯულის-დამდები უფლება პარლამენტის ხელშია, აღმასრულებელი—მინისტრების, რომელთაც ხელმწიფე ნიშნავს. მსაჯულებს თუმცა მმართებლობა ნიშნავს მაგრამ იმას არ შეუძლიან ერთხელ დანიშნული მსაჯული თანამდებობიდამ გადააყენოს, თუ სამართლით არ დამტკიცდა იმისი დანაშაულობა და უკანონო ქცევა. მაშასადამე მმართებლობას სამსჯავრო უფლებაზედაც არა აქვს დიდი გავლენა. ამ სამ უფლებათაგან სჯულის-დამდები უფლება უაღრესი არის. საქმით მმართებლობას პარლამენტი აძლევს მიმამართულებას, თუმცა სახელით ხელმწიფე ითვლება სახელმწიფოს მმართველათ. კონსტიტუციურის ხელმწიფის მნიშვნელობა სწორეთ განიმარტება ამ სიტყვებით: ხელმწიფე მეფობს და არა მართავს. (Le roi régne, mais ne gouverne pas).

(*) ანგლიის კაროლევას ეძლევა 386 ათასი და 200 გირვანქა სტერლინგი (ორი მილლიონი და ნახევარი მანეთი), ფრანცუზების იმპერატორს—80 მილლიონი ფრანკი ე. ი შვიდი მილლიონი და ნახევარი მანეთი.

ხალხის წარმომადგენელები შეადგენენ პარლამენტს. პარლამენტი ორად გაიყოფა: ერთს ჰქვიან ქვემო პარლამენტი, დეპუტატთან წარმომადგენელთ პალატა, აგრეთვე პალატა კომმუნებისა. ფრანციაში ამ დეპუტატთ პალატას სჯულის-დამდებს კორპუსს ეძახიან (le corps legislatgif). მეორეს უწოდებენ: ზემო პარლამენტი, ზემო პალატა, აგრეთვე ლორდების ან პერების პალატა. ფრანციაში და იტალიაში ზემო პალატის მაგიერათ სენატი არის.

ქვემო პარლამენტში ხალხისაგან ამორჩეული დეპუტატები სხედან. კონსტიტუციით დანიშნულია ხოლმე, რამდენი დეპუტატი უნდა იყოს ქვემო პალატაში (*) და ერთი დეპუტატი რამდენმა მცხოვრებმა და რომელმა ადგილმა უნდა ამორჩიოს. ფრანციაში ყოველს სრულ წლოვანს მოქალაქეს აქვს ხმა (კენჭი) დეპუტატების ამორჩევაში. იქ არსებობს საყოველთავო ხმის მოცემა (всеобщая подача голосовъ, suffrage universel). სხვა სახელმწიფოებში კი ხმის უფლება (право голоса) შეძლებაზედ არის დამოკიდებული. კანონით დაწესებულია, რა შეძლების პატრონი უნდა იყოს კაცი, რომ ამორჩევაში ჰქონდეს ხმა. ამ შეძლებას ცენზი ჰქვიან.

ზემო პარლამენტის წევრები უფრო არისტოკრატიის წარმომადგენელნი პირები არიან. ანგლიის ზემო პარლამენტში წევრის ადგილი ლორდებს ეკუთვნის შთამომავლობით. იქ სხედან აგრეთვე თანამდებობის ძალით ანგლიის მთავარ-ეპისკოპოსები და ეპისკოპოსები. გარდა ამისა კაროლს შეუძლიან უბოძოს ზემო პარლამენტის წევრობა დამსახურებულს კაცებს. ფრანციაში სენატორებს თვითონ იმპერატორი ნიშნავს.

(შემდეგი იქნება).

სახაზინო განცხადებანები.

(Закавказскій Вѣстникъ, 1866 г. № 15.)

13) ტფილისის უეზდის სამჯავროს თავისის გადაწყვეტილობის ძალით დანიშნა თავის სასამართლოში ტფილისის მოქალაქის ადამ შორაქაშვილის კუთვნილი უძრავის ქონების საყოველთავოთ გაყიდვა. ეს მამული არის ნავთლულში და შეიცავს ბაღს, რომელიც 1000 მან. არის დაფასებული. ის ისყიდება სახაზინოვალის გადასახადათ. ამ ქონების გასყიდვის ვადა მომავალს მაისის 24 რიცხეს, დილის 11 საათზედ არის დანიშნული და პერეტორჭკა 3 დღეს შემდეგ მოხდება.

14) ტფილისის უეზდის სამსჯავროს თავისის გადაწყვეტილების ძალით დანიშნა ტფილისის მოქალაქის ივანე ქედელოვის უძრავი ქონების საყოველთაოთ გაყიდვა თავისისვე დასწრებით. ქონება ქ. ტფილისის 4 ნაწილის 2 კვარტალში იმყოფება და შეიცავს 1000 მანეთად დაფასებულს ერთს ეტაჟიანს სახლსა. გასყიდვის ვადა არის დანიშნული მომავალის მაისის 24 რიცხვს დილით 11 საათზედ; პერეტორჭკა კი სამის დღის შემდეგ მოხდება.

(Закавказскій Вѣстникъ № 16).

1) კავკასიის ოკრუგის საინჟენერო სამმართველო მოუწოდებს იმათ, ვისაც ნარდათ იჯარით სურთ აიღონ სოხუმში 100 კაცის საბარკასო კამანდის მატროსებისთვის კაზარმის აშენება, რომელიც დაფასებულია 8820 მანეთათ და 46 კაპეიკათ; მომზადებულს მასალებს გარდა ფულათ მიეცემათ იმათ, ვინც კი შენობას იკისრებს, 5850 მ. $80\frac{1}{2}$ კ.

ტორგი მოხდება ქუთაისში ახალციხის საინჟენერო დისტანციაში 1866 წლის 2 მაისს ზეპირათ და პაკეთში დაპეჭდილი განცხადებაც მიიღება; პერეტორჭკა კი—6 მაისს იქნება.

2) კავკასიის სამხედრო ოკრუგის არტილლერიის სამმართველო მოუწოდებს იმათ, ვისაც იჯარით სურთ მუშაობა ტფილისში მდინ. ფერის გაღმა სალაბორატორიო შენობაში, № 164-სა, ორის ფეჩის ასაშენებლათ: ერთი ფეჩია სალხობი და მეორე სახურებელი. იმათი აშენება 666 მანეთათ და $36\frac{1}{3}$ კ. არის დაფასებული. ტორგი მოხდება ტფილისში ოკრუგის არტილლერიის სამმართველოში ზეპირათ და დაბეჭდილს პაკეთში განცხადებაც მიიღება, ტორგი იქნება 2-ს და პერეტორჭკა 6 მაისსმ 1866 წლისას.

3) ქუთაისის გუბერნიის სამმართველოში მომავალს 8 ივნისს მოხდებიან ზეპირი ტორგები ქუთაისის მაგაზინის—ქვითკირის ღობით შემოზღუდვისა იჯარით აღებაზედ. პერეტორჭკა სამის დღის შემდეგ იქნება. ამ შენობისთვის გამოანგარიშებით 2601 მან. და 75 კ. არის დანიშნული. ვისაც უნდა თავს იდვას იმის გაკეთება, შეუძლიან ქუთაისის გუბერნიის სასამართლოში მოვიდეს დანიშნულს დღეს 12 საათზედ.

(Кавказъ № 29)

1) კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელის საზოგადოების რჩევა მომავალის მაისის 5-ს ნიშნავს ტორგებს და 3 დღის შემდეგ პერეტორჭკას 18 ეკკლესიის აშენების იჯარით მისაცემად. იმათში 15 ეკკლესია სამხრეთის ოსეთის სამრევლოებშია: ჯავას, მსხლებს, ზავდას, ქეშელთას, ქოშს, ლეკოვანს, თლისს, როკას, ქადაქს, ინაურს, ჭვრივს, ნაქალაქევს, სოჭინს, ზღუბირს და ბეყმარს, და 3 ჩრდილოეთის ოსეთის სამრევლოებშია: ქობს, სანებს და დალაყავას. საზოგადოების რჩევა მოუწოდებს იმათ, ვინც ზემოხსენებულის ეკკლესიების აშენებას იკისრებს. ამ ეკკლესიების ასაშენებლად გამოანგარიშებით დანიშნულია 46,522 მან. და $87\frac{1}{4}$ კაპ.

2) კავკასიის იქითის და აქეთის სასწავლებლების მთავარი ინსპეკტორი გამოაცხადებს, რომ ქუთაისის გუბერნიის მმართველობის სასამართლოში დაინიშნება ტორგი მომავალის მაისის 17-ს და პერეტორჭკა 3 დღის შემდეგ. ეს ტორგი იქნება ახალციხის უეზდის სასწავლებლის შენობის გადაკეთების იჯარით მიცემაზედ, რომლისთვისაც გამოანგარიშებით 7924 მან. და $74\frac{1}{2}$ კაპ. არის დანიშნული.

კერძოებითი განცხადება.

პატივცემულს ტფილისის პუბლიკას ვაცნობებთ, რომ ორთქლით სამუშაოს ქარხანაში, რომელიც არის ნემეცურს კოლონიაში და ეკუთვნის რაისსა და კამპანიას, ხერხენ რვა-ვერმოკიანის სიგნის ხეებს, 17 კაპეიკათ ლარსა, ამზადებენ კარებებისთვის შპუნტოვის სამუშაოს, აკეთებენ კარნიზებს და ბაგეტკებს ქლიბვენ რკინეულობას. ამ ქარხანაშივე ჰყიდიან ძალიან კარგს ანგლიურს კლიტეებს. (3)

ამ დღეებში ტფილისის თეატრში მოხდება სამი წარმოდგენა ქართულს ენაზედ ქველმოქმედებითის აზრით.

1) 29-ს აპრილს, პარასკეს წარმოადგენენ ორს კამედიას: „ძალათ ცოლის შერთვინება“ და „ძალათ ექიმი.“

2) 3-ს მაისს, სამშაბათს—ორს კამედიას: „მე მინდა კნეინა გავხთე.“ და „ძალათ ექიმი.“ ანტრაქტში იტალიანური სიმღერა იქმნება.

3) 8-ს მაისს, კვირას: 1) ორი მოქმედება კამედიისა „მზის დაბნელება“ და 2) „ძალათ ექიმი.“ გარდა ამისა იტალიანური სიმღერა და ბალეტის ტანცაობა იქმნება.

ბიბლიოგრაფიული ცნობა.

—ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის, შედგენილი ი. გ. და სახელმძღვანელოთ მიღებული საქართველოში ყოველს საერო და სასულიერო სასწავლებლებში, ისყიდება: ტფილისში მელიქიშვილის და-კამ. სტამბაში, ტერ-მიქელიანცის წიგნების მაღაზინში და სემენარიის სახლში იაკობ ბოგებაშვილისას; ქუთაისში—სასულიერო სასწავლებელში, ბერასიმ ქალაქნდარიშვილისას, ბორში—სასულიერო სასწავლებელში, იოსებ ლამაურისას, სილნაღში ბლაღოჩინის ღამბაროვისას; თელავში თ. გიორგი ჩიქოანისას. ფასი ერთი აბაზი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29-го апрѣля, 1866 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში რედაქტორი ბ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.

ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ე ბ ი,

პეტერბურგში მიღებული.

ვ ე ნ ა, 11 (23) აპრილს. ავსტრიის გაზეთის დღევანდელს ნუმერში გვაცნობებენ ვიკონტის-ვენოსტისა და გრაფის არეზეს (ესენი არიან იტალიის მინისტრები) მოსვლას ვენაში.

მეორე ავსტრიის გაზეთი ამბობს, რომ სამხედრო მზადების თავდანებებით ავსტრიას ოდნათაც ხელი არ აუღიაო სახელმწიფო ღირსებაზედ და თავის პოლიტიკურს პრინციპებზედ, ამითვის რომ იმის მზადების გაუქმებასთან ის მიზეზიც მოისპო, რომელიც იმას ჩხუბზედ აღძრავდაო.

ფ რ ა ნ კ ფ ურ ტ ი-მ ა ი ნ ზ ე დ, 11 (23) აპრილს. ხუთს კონფერენციის ყრილობაში რაც რომ დუნაის სამთავროებზედ საქმე გადაწყეტა, ყველა მოკლეთ არის გაზეთში Europe (ევროპა) დაბეჭდილი. კონფერენციამ ერთის ხმით გადაწყვიტა, რომ დუნაის სამთავროები ისევ შეერთებულნი დარჩნენ; მაგრამ იმ პირობით კი რომ ეს საქმე თვით სამთავროების ხალხსაც ეკითხოს. მხოლოდ რუსის ელჩი ბარონი ბუდბერგი ამაზედ ვერ მორიგდა. ის ამტკიცებდა, რომ რუმინიის სამთავროების ერთობა შესაძლო არ არისო, რადგან მოლდავიას კავშირში დარჩენა აღარ სურს. შრანციამ, იტალიამ და პრუსსიამ რუმინიის მთავრად უცხო ქვეყნის პრინცი ამოარჩიეს, სხვა სახელმწიფოებმა კი ისურვეს, რომ მთავრად რუმინიელი ვინმე შეიქნეს. ეს უფრო რუსეთს და ავსტრიას სურთ.

ბ უ ხ ა რ ე ს ტ ი, 12 (24) აპრილს. აღრეულობის შიში აქვთ. ჯარებს კაზარმიდამ გამოსვლის ნება არა აქვთ. ჯარს მთავრად ბარალამბი უნდა. ხალხს კი სურს მთავრად ბრატიანე ამოირჩიოს, თუ ვინიცობ ა ლოლენ-ცოლერნის პრინცმა უარი სთქვა.

ვენა, 11 (23) აპრილს. შემაშფოთებელის ამბების გამო იტალიიდამ სამხედრო რჩევა დანიშნა. ფელდმარშალი ალბრეხტი მიდის ვერონაში იტალიის არმიის საწინამძღვროთ.

ავსტრიის გაზეთში სწერენ. იმპერატორის მმართებლობამ იტალიიდამ უწყება მიიღო, რომ ალაგ-ალაგ ჯარი გროვდებაო და დათხოვნილს სალდათებსაც მოუწოდებენო. იტალიის მმართებლობის ამ გვარი განკარგულება იმასაც აიძულებს გაემზადოს ყოველ გვარის შემთხვევისათვის.

უკანასკნელს ავსტრიის ნოტაზედ პრუსსიიდამ მიღებული პასუხი გამოაცხადებს: რა დროსაც ბერლინში ამბავი მოვა, რომ ავსტრიამ შეიარაღებას თავი დაანება, პრუსსიის ჯარიც მაშინვე შესაბამათ შემცირდებაო.

ბრაფის ვალდერზეეს შეპყრობაზედ ავსტრიამ პრუსსიას ბოდიშის წერილი გაუგზავნა.

ლ ო ნ დ ო ნ ი 8 (20) აპრილს. დღეს ქვეყნის პალატის შეყრილობაში უცხო ქვეყნების მინისტრის ამხანაგმა უ. ლეიარდმა სტანდფორდის კითხვაზედ ეს მიუგო: დუნაის სამთავროების შესახებ კონფერენცია ჯერ არ გათავებულაო. დეპუტატმა ბრაფფიტმა ჰკითხა მმართებლობას: ინგლია წინააღმდეგი ხომ არ არისო, რომ რუმინიელებმა მთავრად ლოლენ-ცოლერნის პრინცი ამოირჩიონ? უ. ლეიარდმა პირდაპირის პასუხის მიცემა ამ კითხვაზედ თავიდგან აიცილა. მარტო ეს კი თქვა, რომ ტრაქტატის ძალით დუნაის სამთავროებში უნდა ამოირჩესო იქაური მამულიშვილი. ინგლიას მხოლოდ მაშინ შეუძლიანო ამ საქმის გადაწყვეტა, როცა ის საერთოდ სხვა თავდებ სახელმწიფოებთანაც მოილაპარაკებს ამაზედ.

—დღეს „დრეზდენის ჟურნალში“ დაბეჭდილია ვენიდგან გამოგზავნილი ტელეგრამმა, რომელიც აუწყებს, რომ ავსტრიის პასუხი პრუსსიის ნოტაზედ, 3 (15) აპრილიდამ, უნდა წარგზავნილიყო 7 (19) აპრილს. პასუხი დაქამშვიდებელია. ავსტრია ამ პასუხში ითხოვს, რომ დაინიშნოს მოკლე დრო, რომელშიაც ორივე მხარემ ხელი უნდა აიღოს საომრად მზადებაზედ.

ფ რ ა ნ კ ფ ურ ტ ი მ ა ი ნ ზ ე დ, 9 (21) აპრილს დღეს ბერმანიის სეიმის შეყრილობაში, თოთხმეტის ხმის უმრაველესობით, პრუსსის წინადადება ბერმანიის კავშირის რეფორმაზედ მიეცა გასახილავად განსაკუთრებითს კომიტეტს, რომელიც ათის წევრისაგან შემდგრია.

—ა უ გ ს ბ ურ გ ი (ბერმანიაში) 10 (22) აპრილს. დღეს აქ მოხდა მინისტრების კონფერენცია, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა ცხრა ბერმანიის სახელმწიფოების წარმოადგენელებმა. დღეს ორჯელ შეიყარა კონფერენცია; ხვალ მოხდება მესამე შეყრილობა. ერთ-ხმად გადაწყვიტეს, რომ ეცადონ ბერმანიის კავშირის რეფორმა მოახდინონ. როდესაც პრუსსია წარმოადგენს თავის პროექტს რეფორმაზედ, მაშინ კონფერენცია ხელ-ახლა შეიყრება.

---

25 აპრილს მარსელიდამ იწერებიან ტფილისს, რომ ფუთზედ ბამბის ფასმა 8 მან. და 50 კაპ. დაიწია.

ბიორგი, უმცროსი ძმა გვარის ბაიყუშებისა.

ბიორგი იყო კარგი მოყვანილი და კარგის შეხედულობის ვაჟკაცი, იყო ძალიან ხელძრიელი და მაგარი ხასიათის კაცი. ჯარში ჰქონდა დიდი ვაჟკაცობის ხმა და იყო თითონ შუახნამდინ მიხწეული უცოლო კაცი.

ყველა მებატონეები მოელოდნენ ამისგან დიდს ამბებსა თავის ბიძაშვილს ფარემუზთანა, რადგან გაეგონათ ამის ვაჟკაცობა და ისიც იცოდნენ, რომ ფარემუზისთვის იყო აქ მოსული. ყველა მოუთმენელათ ელოდა ამის ფარემუზთან შეჯახებასა და სულ განაბულნი ყურს უგდებნენ, თუ საიდამ დაიწყებდა საქმესა.

ბიორგი რომ დაბრუნდა შინა ზაფხული იყო,—მკის დრო მოტანებული.

ბიორგის თავისი ყმები თუმცა სიხარულით მიეგებენ და გაიშალნენ პატარა წელშია, რადგან იმედი მიეცათ რომ ეს ცოტა ფრთებს ჩაშლეევინებდა ფარემუზსა და იმის გლეხებს, რომლებისგანაც სულთა-დგმა აღარა ჰქონდათ ამათა; მაგრამ თავის ძმის კაცები კი ნახა რომ მეტათ გაიალაღებულნი იყვნენ და მოუჭირა ამათა. პატარას ხანს ესენი უძალუვდებოდნენ ამასაცა, მაგრამ, რაკი ნახეს რომ იმათი ბატონისებური კაცი არ იყო, მალე მოიკაკვნენ

[illegible] მოედოთ, რომ ერთი ეჩვენებინათ თავისი და თავის ბატონის ძალა. მაგრამ არც ამათ გამოადგათ თავის ბიჭობა: მინამ ისინი მოიფიქრებდნენ რასმე ბიორგი კიდეც ეძგერებიდა და იდებდა ქვეშა. თუ გაბედავდა ვინმე შველასა ის მოისვამდა ხელს ან დამბაჩას-ან ხანჯალსა და მაშინ მეტი რალა ილაჯი იყო, უნდა მორიდებოდნენ. ასე დაიფორიაქა ბიორგიმ ფარემუზის ყმები, რომ ველარავინ იმათში ველარა ჰბედავდა ამასთან ხელდახელობასა, მეტადრე მას აქეთ, რაც ამან სცემა სამთა ძმათ ჩხიკვაძეთ, რომელნიც ყველაზედ განთქმულები იყვნენ მთელს სოფელში თავის სიავკაცით და რომელნიც დიდი დამუქარებულნი იყვნენ ბიორგიზედა.

ბიორგი იარაღს, თუ არ გაჭირვებაში, არას დროს არა ხმარობდა: „ეგ ქალაჩუნა კაცის საქმეა“—იტყოდა ხოლმე ის; მაგრამ გაჭირვებაში კი, როდესაც დაატყობდა, რომ მეტი ღონე აღარ იყო, კაცს სასიკვდილოთ არ დახოგავდა. თუმცა ბიორგი არავის არას უთმობდა და კაცის სიკვდილი და ცემა ხუთ გროშათ არ მიაჩნდა; მაგრამ თვითონ კი არას დროს უბრალოთ კაცს არ აწყენინებდა და თუ ატყობდა, რომ სადმე სიმართლე ჰქონდა, იქ თავის ცოცხალის თავით არავის რას და-

[illegible] თანმე წასულიყო. „მე იქამდინ არ გავიჭირვებ საქმესა, რომ უჩივლო ვისმე,—ამბობდ ხოლმე ბიორგი:-დეე ისევ მე მიჩივლონ“ დ ეს კიდეც ასრულებდა თავის სიტყვებსა: სადაცა ჰხედავდა თავის სიმართლესა, იქ მაშინ ვე მიმართავდა ძალასა, და თუ გაჭირდებოდ ორი კაცის სამართალს ჰჯერობდა, თუმცა ამასაც ძვირათ.

ბიორგიმ რაკი პატარა ანგელოზები დაუფეთხო ფარემუზის კაცებსა და თავის ძმის კაცებიც კარგა დაბლუნძა, მაშინ ერთს მშვენიერს დღეს დაიბარა თავისსა და თავის ძმის კაცებს ქუდზედ კაცი სამკალათ და წაიყვანა ერთს საუკეთესო ხოდაბუნში, რომელიც ფარემუზს წაერთმია ამისა და ამის ძმებისათვის და ეთესა ყანა.

ეს ამბავი, როგორც ელვა გავარდა არამცთუ სოფელს ტაბლაძიანთ კარში და მთელს გარშემო მახლობლებს სოფლებშიაცა. ყველა მოუთმენელათ ელოდა თუ რითი გათავდებოდა საქმე. მებატონეები, ბატონები და ქალბატონები გადაწყვეტით კიდეც ლაპარაკობდნენ ვინც აჯობებდა; ბატონები ამბობდნენ: ფარემუზი აჯობებსო, ქალბატონები—ბიორგიო!

—იმას ფარემუზთან სად შეუძლიან!—იძახ-

[illegible] კაცია, სისხლის ჯვრებით ვული სავსე აქვს, და აბა თქვენს ფარემუზს რა აქვს?!—იძახოდნენ ქალები.

—მნწ,—არა! ფარემუზისთანა როგორ იქნება! იმისი კაცები ძალიან დაგეშილები არიან... მერე უფროსობაც იმისაკენ არის. ყველა უფროსს ისე ელაპარაკება პირდაპირ, როგორც მე შენა, და აბა ბიორგის სად შეუძლიან ეგეები!

—რა იცი რომ ბიორგისაც არ შეუძლიან? ის უფრო ჯარის სამსახურის კაცი არ არის!

ეს ამგვარი ლაპარაკი და ბაასი ისმოდა ყველგან ორშაფათ დილით, მკათათვის სამს რიცხვსა, როდესაც ბიორგიმ შეუშვა მუშა ფარემუზის მოყვანილს ყანაში.

მთელი სოფელი ტაბლაძიანთ-კარი სულ არეულობაში იყო. ფარემუზის კაცები, ისაც კი ეწვნია ბიორგის სუსხი და ახსოვდა კიდევ ესა, მიიმალ მოიმალნენ. სხვა სოფლიდამ კი მოაწყდა მრავალი ხალხი ამ ხოდაბუნის გარშემო სეირის საყურებლათ და მიიმალნენ ჭალებში, რომ მაჩხუბრებს არ დაენახათ და მოწმათ არ დაესწროთ საჩივარშია...

შუშანა გაფითრებული სიბრაზისგანა სულ თმებს იწეწდა და აჩქარებდა ბიჭებსა, რომ მალე შეეკრიბათ გლეხები ბიორგისთან საჩხუბრათ გასაგზავნათა. ბიჭები დარბოდნენ